

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიულობის სინდრომის სიმპტომებს
და ძილის მახასიათებლებს შორის მიმართება

ხატია ნადარეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სპეციალობა: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, PhD, BCBA პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წ.

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

ხატია ნადარეიშვილი, 26/06/2019

აბსტრაქტი

მიზანი: კვლევის მიზანია დაადგინოს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სიმპტომისა და ძილის მახასიათებლებს, აღმასრულებელ ფინქციონირებასა და ყოველდღიურ საქმიანობას შორის კავშირი.

მეთოდი: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 47 ბავშვის მშობელმა, საკვლევი ასკობრივი ჯგუფი 6-დან 10 წლის ბავშვები. ბავშვებს დადასტურებული რაიმე კლინიკური დიაგნოზი არ აქვთ. კვლევაში გამოყენებულია მშობლებისთვის შესავსები ორი კითხვარი CSHQ Children's Sleep Habits Questionnaire და CEFI - Comprehensive Executive Function Inventory და NICHQ Vanderbilt Assessment Scales-ის შეკითხვები ყოველდღიური საქმიანობიდან. კორელაციური კვლევა.

შედეგები და დასკვნა: კორელაციურ ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ მოცემულ კვლევაში მონაწილე ბავშვებს, რომელთაც შეუძლიათ ემოციური რეგულირება ისინი არიან მოქნილნი, ინიციატივიანნი, ორგანიზებულნი, შეუძლიათ დაგეგმვა, საკუთარი თავის მართვა.

იმ შემთხვევაში როდესაც იზრდება დღის ძილიანობის ხანგრძლივობა მცირდება თვითმართვის, მოქნილობისა და ორგანიზებულობის უნარები. ორგანიზებულობა დაგეგმვასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციაშია.

პარასომნიის ზრდა იწვევს ძილში დარღვეულ სუნთქვას, ასევე პარასომნიის ზრდა ზრდის ალბათობას ძილის გამოღვიძებებისას. სქესთა შორის სანდო განსხვავება საშუალოებს შორის გამოვლინდა ძილის ხანგრძლივობასა და ღამის გამოღვიძებებს შორის.

ბავშვებს რომლებსაც სძინავთ ასაკის შესაბამისად ნორმის ფარგლებში მათი ყურადღების მაჩვენებელი მაღალია.

კვლევის შეზღუდვები: ვინაიდან კვლევა ჩატარდა 47 ბავშვის მონაცემებზე დაყრდნობით შედეგების განზოგადება არ იქნება მიზანშეწონილი.

საკვანძო სიტყვები: ძილი, ძლის ხარისხი, ყურადღების დეფიციტი დაჰიპერაქტივობის სინდრომი, აღმასრულებელი ფუნქციები, ცხოვრების ხარისხი.

Abstract

Abstract

The goal of the research is to identify the symptoms of attention deficit and hyperactivity syndroms, sleep characteristics and Executive Functioning And what kind correlation is everyday activities.

Methods: The survey was conducted by parents of 47 children, a research group 6 to 10 years. Child was no clinically diagnosed. Two questions was used to fill parents CSHQ Children's Sleep Habits Questionnaire and CEFI - Comprehensive Executive Function Inventory and NICHQ Vanderbilt Assessment Scales questions from daily business. This was Correlation research.

Results and Conclusion: Based on the correlation analysis, it is possible to conclude that children involved in the study who can emotional regulation are flexible, initiated, organized, able to manage themselves.

In the event that the duration of day drowsiness is decreased, self-efficacy, flexibility and organizational skills are reduced. Organizational planning is statistically significant correlation.

Parasomias growth causes sleepy breathing, parasomnia increase leads to sleepy breathing,

Also increase parasomnia increases the likelihood of sleeping.

The relative difference between the sexes was revealed between the duration of sleep and night waking.

Children who sleep in age according to their norm are very high in their attention.

Survey Limitations: Research was conducted for 47 people the generalization of the results is not advisable.

Key words: Sleep, sleep quality, attention deficit and hyperactivity disorder, Executive Functioning, life quality.